ვირთაგვებში პირობითი სტიმულის პარამეტრის ცვლილების გავლენა აქტიური განრიდების ამოცანის დასწავლის ხარისხზე

ნინო ცერცვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები): ნეირომეცნიერებები (LFNEURO)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, ბმდ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესახებ.

ნინო ცერცვაძე

21 ივნისი 2021

აბსტრაქტი

ლეონ კამინმა 1956-57 წლებში შეისწავლა, თუ რა გავლენა ექნებოდა დასწავლის ხარისხზე ვირთაგვებში, აქტიური განრიდების ამოცანაში გამოყენებული პირობითი და უპირობო სტიმულების ცვლილებას. კამინის მიერ მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ საკვლევ ობიექტს უჭირს ამ ტიპის ამოცანების სრულად დასწავლა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო პირობითი სტიმულის გახანგრძლივების სხვადასხვა კომბინაციების მახასიათებლების შესწავლა და შედარება არასრულ დასწავლის ნორმალურ ფორმასთან. ასევე, გადავამოწმეთ ამ ტიპის ამოცანის დასწავლა ფორმირდებოდა თუ არა ხანგრძლივ მეხსიერებაში.

კვლევა ჩატარდა ზრდასრულ, თეთრ, უჯიშო, ორივე სქესის ვირთაგვებზე. მეხსიერების ხარისხის შესასწავლად გამოყენებულია ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანა, რომელშიც შეცვლილია პირობითი სტიმულის დროითი პარამეტრი.

მიღებული შედეგები მიუთითებებს დასწავლის ხარისხის ცვლილებას უპირობო სტიმულის განხანგრძლივებისას. აშკარაა, რომ აქტიური განრიდების ამოცანის დასწავლის პროტოკოლის მოდიფიცირება პირობითი გამღიზიანებლის მოქმედების შენარჩუნებით ქცევითი რეაქციის განხორციელების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწვევს დასწავლის მკვეთრ გაუარესებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *აქტიური განრიდება, პირობითი სტიმულის დროითი პარამეტრების ცვლილება, დასწავლა, მეხსიერების კონსოლიდაცია.*

Abstract

In 1956-57 Leon Kamin studied the effects of changed conditional and unconditional stimuls in active avoidance task. Results of this study showed that subject can not fully the learn task.

The purpose of the following study is to indicate effect of prolonged representation of conditional stimuli and to compare it to the normal data of incomplete learning trial. Also, we tested if this kind of learning is formed to long term memory.

The study was condacted with Albino, inbred, both male and female laboratory rats. To study the memory processing in rats two-sided active avoidance has been used.

The results show the changes in the quality of incomplete learning with prolonged conditional stimuli. The modification of conditional stimuli duration decreases quality of learning and memory formation.

Key Words: *active avoidance, change of conditional stimulus, learning, memory consolidation, avoidance US.*